## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №412
**2024 წლის 20 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

### „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი №III-03 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*„დანართი №III-03*

…………………………………………………

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

…………………………………………………

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი)

…………………………………………………

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

**განცხადება**

**დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ**

| შესაბამისი უჯრა მონიშნეთ „ V“ ნიშნით | |
|---|---|
| რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი | |
| • საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო | |
| • „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების რეჟიმის გახსნის გამო | |
| • სსკ-ის $165^1$ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად | |
| | |

| | |
|---|---|
| • სსკ-ის 165[1] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი – საგადასახადო ორგანოს ინიციატივა) | |
| • სსკ-ის 165[1] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტი) | |
| • სსკ-ის 165[1] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-8 პუნქტი – საგადასახადო ორგანოს ინიციატივა) | |

| | |
|---|---|
| განცხადებით მომართვის თვეში (მომართვის მომენტამდე) განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა სსკ-ის თანახმად გათავისუფლებული ოპერაციებისა, სსკ-ის 165-ე მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით) ჯამური თანხა დღგ-ის გარეშე | ---------- ლარი |

განმცხადებლის ხელმოწერა .......................................

თარიღი ............................“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი** **ლაშა ხუციშვილი**